ნიანგი

14

გამოცემის 53-ე წელი. (№ 1480). ივლისი. 1976. ფასი 20 კაპიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ხალხო, შემომხედეთ, უფულოდ შევდივარ!. მერე არ დამიწყოთ, ფული მისცა და ხუთიანი ისე დაუწერესო!

რაც თვალში გხვდება!

აფხაზეთში უამრავი უცხოელი გერონტოლოგი ჩამოდის. უკვირთ, რაშია საქმე, აქ ამდენ ხანს რომ ცოცხლობენო? მათთუსალა-აბორიგენებს უამრავ შეკითხვას აძლევენ: რას ჭამდით, რას სვამდით, როგორი დღის რეჟიმი გქონდათო. პასუხობენ: ღომს და აჯიკას, ხორცსა და ღვინოზედაც არ გვითქვამს უარი; თენდებოდა, ვიღვიძებდით, ღამდებოდა და ვიძინებდითო!

ერთი ფრანგი გერონტოლოგი ჩამოსულა და საფრანგეთში ისე დაბრუნებულა, ერთი ასაკოვანიც არ მოუნახულებია. თავიდანვე ასე განუცხადებია: აქ რომ ვცხოვრობდე, მეც გადავაბიჯებდი ას წელსო. დასტურ, მუსიე ფრანგო!

ამა, მაშ, რა იქნება?! — ბუნებას აფხაზეთში ისეთი ჰარმონიულობით შეუზავებია ზღვისა და მთის ფარმაკონები, რომ აქაურობა კლიმატოთერაპიულ სავანედ უქცევია! ბუნების ეს მუქთად ნაბოძები სიმდიდრე სრულყოფილი ჯანმრთელობის კერად რომ იქცეს, მოითხოვს მხოლოდ და მხოლოდ მშენებლობას!

მშენებლობამ მოგვაგონა: უკვე მერვე წელია შენდება სამას ორმოცადგილიანი დასასვენებელი სახლი „გუმისთა“. მოსკოვისა და ლენინგრადის საპროექტო ინსტიტუტის ზღვასმოწყურებული თანამშრომლები სასოებით შეჰყურებენ მშენებლობის უფროს ა. მარჯანიშვილს. ა. მარჯანიშვილი კი — № 6 ტრესტის მესამე სამშენებლო სამმართველოს უფროს ვ. ვარდანიას. „გუმისთა“ კი ჰა და ჰა! შარშან საგზურები გაიყიდა, მობრძანდით, გელითო! ჩამოვიდნენ დამსვენებლები, მაგრამ რა დაგიკარგავს, რას ეძებ?! სადაა დასასვენებელი სახლი?! ბეწვზე დაეკიდა საქვეყნოდ ცნობილი აფხაზური სტუმართმოყვარეობის რეპუტაცია.

სირცხვილის ოფლი გუმისთას აგუძერამ მოწმინდა: თავის ისედაც გადატვირთულ ეზო-კარს კიდევ სამას ორმოცი დამსვენებელი მიუმატა. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი კმაყოფილები იქნებოდნენ ასეთ „ხალვათობაში“ დასასვენებლად ჩამოსული სტუმრები!

შარშანდელს ვინ ჩივის, წელსაც ვაინაჩრობით მოუსწრეს საკურორტო სეზონს. „გუმისთას“ მშენებლებს ბევრი მსხვილმან-წვრილმანი სამუშაო დარჩათ დასამთავრებელი. ალბათ, საგაისოდ თუ შემოინახეს. თავშენახული ხალხი ყოფილან „გუმისთას“ მშენებლები.

კიდევ კარგი, აფხაზეთში ხანდაზმული ადამიანი ბევრია, თორემ ვინ დაადგენდა, როდის დაიწყო ბალნეოლოგიური სამკურნალო ობიექტის მშენებლობა გაგრაში, ან ტყვარჩელის სანატორიუმ-პროფილაქტორიუმის საძირკველი როდის ჩაიყარა! ერთი კია: აქ არ მიუბაძავთ გუმისთელებისათვის და ღია ცის ქვეშ არ მოუპატიჟებიათ დამსვენებლები. ესეც საქმეა თუ არა?!

ავად ხარ? მოინახულე ავადჰარა და განიკურნები! ან ავადმყოფობას რას ელოდები, ბავშვებისათვის დაიჭირე თადარიგი! მედიკოსები გვარწმუნებენ, აქაური ჰავა მოზარდებისათვის ზედგამოჭრილი არისო. ალბათ, ამიტომაც, ჩვენი მომავალი თაობისათვის განზრახული ყოფილა ორას ორმოცდაათადგილიანი თანამედროვე კაპიტალური პანსიონატის აშენება. განზრახული კია, მაგრამ განსაზღვრული როდისაა საქმის დაწყება და დამთავრება, არავინ უწყის.

ავადჰარას თვალსაწიერიდან ნახევარი აფხაზეთი თუ არა, ბიჭვინთა მაინც მოჩანს. ბიჭვინთა, სადაც დამსვენებელთა სიმრავლით ზღვის დონეც კია აწეული!..

თუ როგორ მატულობს მოაგარაკეთა რაოდენობა აქ, თვალნათლივ ჩანს სასადილოებსა და სასაუზმეებთან გაჭიმული რიგებით, ყოველ წელიწადს რომ იზრდება და იზრდება (ესეც შენი ბარომეტრი, სადაც სინდიყს შესანიშნავად ცვლის ცოცხალი რიგი!). წელს ულტრაიისფერ სხივებს „ზეგეგმით“ ძალაუნებურად კიდევ უფრო მეტი დამსვენებელი მიიღებს დღიური ულუფის მოლოდინში, რადგან, მშენებლების წყალობით, ვერა და ვერ დამთავრდა ექვსას ორმოცდაათადგილიანი სახადილო!..

ქალთქათა კორპუსებს, ბიჭვინთის ცნობილ ფიჭვებს, გამქვირვალე ზღვასა და სხვასა და სხვას, სიხალისისა და სიცოცხლის კალორიები შეაქვთ ადამიანში, მაგრამ... აი, ულაზათო ფარდულები, რომელთა შეცვლაც გადაუწყვეტიათ ახლა, ამიტომაც მოუზიდავთ მასალა და უწესრიგოდ მიუყრ-მოუყრიათ! ან ეს შუქურა რასა ჰგავს, ალბავი რომ ჩამოცლია და ბეწი დაუკარგავს?!

— გაგონილა ასეთი რამ?!—ჩივის დამსვენებელი—ვერ დამიდგენია, მოვიმატე თუ დავიკელი წონაში! დადგან ერთი სამედიცინო სასწორი, რა დიდი აწონ-დაწონა ამ საკითხის გადაჭრას უნდა?!

— საჩივრის წიგნი! — კატეგორიულად მოითხოვს „ფაცხაში“ ვიღაც.

— არა გვაქვს, ბატონო, საჩივრის წიგნი! შაბათ-კვირას დირექციაში მიაქვთ! — პასუხობს მებუფეტე.

— ჰოო, გასაგებია! ჯაფა ექნებათ დიდი და შაბათ-კვირას ასვენებენ! — ასკვნის ის ვიღაც.

საჩივრის სათქმელად კი აქვთ მიზეზი „ფაცხის“ კლიენტებს, რადგან აქ, უმაღლესი ტიპის კურორტის საკვებ ობიექტში, ყავის ფინჯნებს, წარმოიდგინეთ, ცივი წყლით რეცხავენ! ალბათ, ეს არ იცის კურორტის დირექტორმა მ. ბასილაიამ, თორემ... თუმცა რატომ არ უნდა იცოდეს? არა, არცოდნას ვერ დავწამებთ მას, მაგრამ, ეტყობა, ეს მიკროსკოპულ ნაკლად მიაჩნია სანატორიუმის თავკაცს, ისევე თვალუხილავ წვრილმანად, როგორც ცივი წყლით გარეცხილ ფინჯანზე მიკრული მიკრობი!

ახლა აფხაზეთში გაგანია სეზონია. საიდან არ ჩამოსულან აქ ნერვების, ფილტვებისა და გულის გასაჯანსაღებლად. მკლავში ძალამომატებულები ზღვაში ბანაობენ ვალიდოლებსა და სედუქსენებს, ზღვაშივე ტოვებენ მოწყენილობასა და უსიამოვნო განწყობილებებს. აქაურობა მადლიერების გრძნობითაა გაჟღენთილი. რას იზამ, ხასხასა კოინდრიან ეზოში აქა-იქ ჭინჭარიც ამოვა ხოლმე და უსიამოვნოდ ხვდება კაცს თვალში. სამწუხაროდ, რაც თვალში ხვდება, ხანდახან გულშიც გაივლის!

ევგენი აქუბარდია
გარი მეტრეველი

ნახ. მ. აბაშიძისა



— დასასვენებლად რომ ჩამოგრძანდით, საერთოდ თუ გიმუშავიათ?!

არსად ეწერა გულიკო!..

მეზობელს ერთი შვილი ჰყავს,
ერთი ნანატრი გულიკო;
წიგნი არ უყვარს... კლასიდან
კლასში ძლივს გადასულიყო!

რეპეტიტორთან წავიდნენ,
ურცხვად რომ მიმალულიყო,
ყელმოღერებით იხილეს,
ფულებით დაგანძულიყო!..

მის ფულებს ფული უმატეს
და მიაბარეს გულიკო.
შემდეგ ერთ დიდ კაცს ეძებდნენ,
ის პროტექტორი თუ იყო!..

ძებნეს და ძებნეს... მონახეს,
დივანში განაბულიყო,
მოისაუბრეს, მორიგდნენ,
მოაგუნებეს გულიკო.

ყველა გამოცდა დამთავრდა,
სიები გამოკრულიყო;
ძებნეს და ძებნეს... ვერ ნახეს,
არსად ეწერა გულიკო!..

პროტექტორს კრიჭა შეკროდა,
ამ ამბით დაბნედილიყო,
რეპეტიტორი არ ჩანდა,
გაგრაში გაფრენილიყო!..

გულიკოს დედა კვნესოდა,
სიებთან ჩაკეცილიყო,
მამა მჯიღს გულზე იცემდა,
ქორივით გაფაფრულიყო!..

დამჩაგრეს, დამიბრიყვეს, —
ტუჩს იბზუებდა გულიკო,
შიშველ მკერდს ინიავებდა,
შეღებილ-შეპუდრულიყო!..

ნოდარ შამანაძე

ჯერ კიდევ არ გახსნილა კიკეთში 50 ადგილიანი სასადილო და 130 მაყურებელისათვის განკუთვნილი კინოთეატრი.

(გაზეთებიდან)

ნახ. ბ. ლომმიძისა

კიკეთელი ტყუპები

„...ამასთანავე ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სოფლის მოსახლეობის საკუთრებაში მყოფი პირუტყვი მეცხოველეობის საბაზრო პროდუქციის წარმოების გადიდების უდიდესი რესურსია და მისი უგულებელყოფა მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა...

...ჩვენ უნდა დავეხმაროთ მოსახლეობას მაღალპროდუქტიული პირუტყვის შეძენაში, საკვებით, სასუქით, საძოვრების მოწყობით...“

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის მასალებიდან

ძვირფასო ნიანგო! „კაცი კაცითაო“, კაცებს უთქვამთ და ჩვენ რატომ არ შეიძლება ვთქვათ „ცხოველი ცხოველითა“?! განა, ჩვენ არ შეგვიძლია ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ, ჭირი და ლხინი გავიზიაროთ? აბა, მაშ, ყური კარგად დაგვიგდე და დახმარების ხელი გამოგვიწოდე ჩვენ, გაჭირვებულთ და ამოწყვეტის პირას მისულთ:

1964 წლის დასაწყისში, თბილისსა და მის გარშემო მდებარე სოფლებში 17 ათასი სული ძროხა ვითვლებოდით. ჩვენი რძით და მაწვნით მარაგდებოდა ვაკე და სოლოლაკი, დიდუბე და ისანი, ჩუღურეთი და ხარფუხი... დედაქალაქს გარშემორტყმული გორების ნოყიერი ბალახით ვიკვებოდით ჯიქნებს: კავკასიური, ხოლმაგორული, იაროსლავლური, ჰოლანდიური და შვეიცარიული ჯიშის ძროხები. მართალია, კერძო მოქალაქეთა პირად საკუთრებაში ვითვლებოდით, მაგრამ თბილისის რძითა და რძის პროდუქტებით მომარაგების საქმეში გარკვეული წვლილი შეგვქონდა და თუ უმცირესი რაოდენობა „მაწონი, მაწონი“-ს ყვირილით საღდებოდა ქუჩებში, უმეტესობა კოოპერაციულ ვაჭრობას ბარდებოდა და ამით ივსებოდა ის სიცარიელე, რის ამოვსებასაც საზოგადო მეურნეობა ვერ ახერხებდა. მაგრამ ერთ ღრუბლიან დღეს. უჩვეულო დადგენილება გამოვიდა. იმ დადგენილებაში შავით თეთრზე ეწერა: **„აეკრძალოთ ქალაქებში — თბილისში, სოხუმსა და ბათუმში მცხოვრებ მოქალაქეებს პირადი საკუთრებაში პროდუქტიული და მუშა პირუტყვის ყოლა“**. მას შემდეგ წავიდა ჩვენ საქმე: ძროხები, რომლებიც ავ თვალს არ ვენახვებოდით და ჩვენი ჯიქნები ყოველდღიურად ოც და ოცდახუთლიტრიან ჭურჭლებს ავსებდნენ, გადაგვცეს წელში გაუმართავ ფერმებს და წელში გამართულ ხორცის დამამზადებლებს. რამდენიმე წლის შემდეგ ამ ცეცხლს ნავთიც გადაესხა, გამოვიდა მეორე დადგენილება, რომლის მიხედვითაც თბილისთან ახლოს მდებარე სოფლები — ბაგები, ვაშლიჯვარი, ოქროყანა და სხვები ქალაქს შეუერთდა და მისი უშუალო ფარგლების შიგნით მოექცა. ორღობე ქუჩად მოინათლა, ხე — მცენარედ, ჯაგნარი — სკვერად და, საერთოდ კი, სოფელი — ქალაქად. (თუმცა, ჯერჯერობით, ისე ჰგვანან ქალაქს, როგორც ჩვენებური დეკეულები — სამოთხის ფრთაფარფატა ანგელოზებს) ძველი და ახალი დადგენილების თანახმად, გუშინდელ სოფელ ნიკას და დღეს უკვე ქალაქელ ნიკოლოზს აეკრძალა საკუთარი ძროხის შენახვა და აბიბინებული მინდვრის გათიბვა!..

დადგენილება რაღა დადგენილებაა, რომ არ შესრულდეს და, აკი, სრულდება კიდეც. 12 წლის განმავლობაში 17 ათასიდან ას ძროხამდე დავედით და თუ ახლა ქუდზე კაცი არ გამოვაცხადეთ, ცასა და მიწას არ ვოვუხმეთ, ორიოდე თვეში ჩვენც საყასბოში ამოგვხვდება სული შეუბრალებლად და თვალდაუხამხამებლად!..

აი, ასე ყუამდე დავედით, პატივცემულო ნიანგო! რა დავაშავეთ?! კარგის მეტი რა გავიკეთებია თბილისელებისათვის?! თუ ასე გბეზრძელდა, კამეჩებივით გადაგშენდებით და საწველად ვინა ჩივის, დასანახადაც აღარ ვეყოლებით ჩვენი დედაქალაქის ნორჩებს. მერე, ალბათ, ზოოპარკში ჟირაფის ან მაიმუნის გვერდით აგვიშენებენ ვოლიერებს და შაბათ-კვირობით პატარა ბავშვებს აჩვენებენ ჩვენს ამქვეყნიურ არსებობას. თუმცა, ვინ იცის, ისე გაწყდა კამეჩის სახსენებელი, რომ თბილისის ზოოპარკში კამეჩს კი არა, ზაქსაც ვერ დალანდავ მეხსიერებაში აღსადგენად ან მოსაგონებლად (თუ სხვა არაფერი, კამეჩის მაწონი მაინც არ შეენანათ დალოცვილებს?!)

საყვარელო ნიანგო! ალბათ, პრესაში წაიკითხავდი ჩვენი დაუძინებელი მტრების — მგლების დაცვისათვის ატეხილ კამათს. თუ პირსისხლიან მხეცებს გამოუჩნდნენ მფარველები, ჩვენ რა დავაშავეთ?, განა, მგლებზე ნაკლები ამაგი გვაქვს გაწეული ქალაქელებისათვის?-

თორმეტი წელი კი არა, ჩვენი სისხლსავსე ცხოვრება ყოველდღიურად მოითხოვს შესწორებებსა და კორექტივებს.

თავად ცხოვრებამ დააყენა ასე პწვავედ მეცხოველეობის შემდგომი განვითარების, პროდუქტიული პირუტყვისათვის საჭირო საკვების, — სილოსისა და სენაჟის საკმარისი რაოდენობით დამზადების საკითხი. მაშ, თუ ასეა, გვიშუამდგომლე, ძმაო ნიანგო, იმათ წინაშე, ვისაც დადგენილების წერა და შეცვლა შეუძლია. გადახედონ 1964 წლის ბრძანებას, ძირფესვიანად ნუ მოგვსპობენ, ნუ ჩადგებიან ჩვენს ცოდვაში და სანამდე თბილისის ახლომდებარე სოფლები ქალაქებს დაემსგავსებიან, მანამდე მაინც გაგვიგრძელონ სიცოცხლე!

ვ. მამუკელაშვილი

„ნიანგის“ კორესპონდენტთა ქსელის განყოფილების გამგე.

ზ. სალაყაია

ქ. თბილისის ორჯონიკიძისა და კალინინის სახელობის რაიონების ვეტსამკურნალო. უფროსი ვეტექიმი

ნახ. ბ. ფირცხალავა

— მეშვიდეთ, ბატონო, მანავის მეშვანეზე!..
— ვერ დავალ, ბავლ თათიკირ ბაკვის!
— თათიკირ რიგ ბაკვთ და თანაკმლგეობის
პირი რომ ბრკანლებეთ იმიტომ კეკაკტიძეთ!

უფროსი მანდილოსანი...

ძაღლით

იცნობთ ამ ქალს—გამზრდელს
ძაღლის?
ვინ თქვა, ძაღლი ზარუნვად არ ღირს?
უშვილობის არ ჟქვს ჯავრი,
ძაღლს დაჩეოდა ოჭროს ჯვარი!..
მასზე ლოცვით ღამეს ათევს,
მისთვის ახთეს წმინდა სახთელს.
რა ჭქნას, სახლში მარტო ვერ ძლებს,
ძაღლს უბზადებს მსუყე კეოოებს
და, ფუხთუშა ჩვილს ნაცვლად,
ძაღლს იხუტებს ლამაზ ჭკერზზე!
ირგვლივ ძაღლის სურათები
მოპფენია ლამაზ კედლებს!..
ძაღლის ეტლში ვინ დათოვლის
ბაფთებს, ბურთებს და კანფეტებს!
ჩირად არ თვლის ქმრის ჩივლის,
ძაღლს უწოდა... „თვლილსჩინი“!
თქვენც გამფოთებთ, ალბათ, ძაღლის
მოყვარული ქალის ცინი!
ერთგულ პირმშოს არც კი ნატრობს,
ბალლის ნაცვლად, ძაღლი არათრს.
ამ უწყინარ მემკვიდრისთვის,
ქმარს კი არა, თავსაც დათმობს!
ვუაქტერ გამზრდელს, ზრუნვით
ძაღლილ,
და მე ფიქრი მაწუხს დარდად:
ოჭნებ, ჯობდა, ნაცვლად ადამიანის,
ამ ქალს ბალი გაეზარდა?

ეთერ სახბარაძე-ჯღამაძე





ნახ. ბ. ლომაძისა

უსიტყვოდ

ᲓᲠᲝᲖᲔ ᲛᲘᲕᲮᲔᲓᲠᲝᲗ!

ᲓᲦᲔᲘᲗᲘ ᲓᲦᲔ ᲘᲬᲠᲓᲔᲑᲐ და ᲛᲨᲕᲔᲜᲓᲔᲑᲐ სოფლის სასაფლაო. ახალმა კულტურამ, მატერიალური დოვლათის სიუხვემ, ტექნიკის წინსვლამ თავისი ელფერი მისცა მიცვალებულთა განსასვენებელ ადგილს. წავიდა ის დრო, როცა ჭირისუფალი ძლივს აგნებდა უახლოესი ადამიანის საფლავს, როცა მიცვალებულის გულზე მძიმე, ცივი ლოდი იდო მხოლოდ. ამჟამად თვალს ახარებს სოფლის სასაფლაოთა ხილვა: მაღალი გემოვნებით აშენებული კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები თუ სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობანი თითქმის ზღვან ზღვარს ქალაქისა და სოფლის სასაფლაოებს შორის. ახლა იშვიათად ნახავთ სოფელში სასაფლაოს, სადაც არ იყოს გაყვანილი რადიოქსელი, შუქი, წყალსადენი, გთხოვთ, ეგზი და არ ციმციმებდეს ცისფერი ეკრანი!... მიცვალებულს ნომ ისევე სჭირდება ყველაფერი, როგორც ცოცხალ ადამიანს? მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ, ყოველგვარ სიკეთისთან ერთად, ამ ბოლო დროს ერთი მაგნე ტენდენციაც იკიდებს ფეხს: ეს არის ერთფეროვნება! მიცვალებულთა საცხოვრებელი სახლები ერთმანეთს ემსგავსებიან! ერთფეროვანი სტილის ხის აიკონები საფლავების ადგილს იჭერს რკინა-ბარმარილის ნაგებობანი, თითქოს დაიკარგა სოფლური იდილია, სიმსუბუქე, სტილური უბრალოება, დამსახსოვებელი დეკორი. ახლა იშვიათად ნახავთ სასაფლაოზე კრამიტით გადახურული სახლებს. კრამიტის ადგილი „ცინკმა“ დაიჭირა, ასევე ეთნოგრაფიულ იშვიათობად იქცა ცოცხალი ღობე და ხის ჭიშკარი. ყველაფერი რკინამ შეცვალა! სასაფლაოს არქიტექტურამ არ უნდა დაჰკარგოს ეროვნული იერი, ის, რაც ორი ათეული წლის განმავლობაში ტრადიციამ შემოგვინახა, არ უნდა წაიღოს ეროვნული ერთი ხელის მოსმით!

თუ ერთ შემოხვევაში „ᲬᲔᲓᲛᲘᲬᲐ მᲮᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲐᲗᲐᲜ“ გვაქვს საქმე, სამწუხაროდ, ჩვენს რაიონებში ჯერ კიდევ ნახავთ ყოველგვარი უფრადღებობით გაპარტახების პირამდე მისულ სასაფლაოებს, სადაც მიცვალებულთათვის არ არის შექმნილი ელემენტარული საცხოვრებელი პირობები: სასაფლაოს არა აქვს მაღაზია, საავადმყოფო, კულტურული ცენტრები — კლუბი, ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი!.. მიცვალებული თითქმის მოწყვეტილი არაინ გარე სამყაროს. ყოველდღიური მოხმარების საგნებისთვის მეზობელ სასაფლაოებზე უნდებთან სიარული. თუ წარმოიდგენთ, რომ ზშირად უახლესი სასაფლაო რამდენიმე ათეული კილომეტრით არის დაშორებული მათგან, სურათიც ნათელი გახდება. ასეთ პირობებში, მიცვალებულებს კი არა, ცოცხლებს გაუჭირდებათ ცხოვრება!

სოფლის სასაფლაოთა ბედი ჩვენი საერთო საკეთილია! რაც შეიძლება დროზე უნდა მივიღოთ გადამწყვეტი ზომები, რადგან, ერთი მხრივ, ᲬᲔᲓᲛᲘᲬᲐ მᲮᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲐ ეროვნული იერი არ გამოიცალოს მას და მეორე მხრივ, ყოველდ გაუმარილებელმა უყურადღებობამ არ გაიუდაბუროს იგი! ᲬᲘᲜᲐᲠᲛᲝᲗ, სხვა ორგანიზაციებთან ერთად, ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა ᲩᲕᲝᲗᲕᲘᲗ ᲣᲙᲒᲘ გამოცდილ და თავგამოდებულ მუშაკებს, რომელთა უშუალო ჩარევით უნდა წარიმართოს მუშაობა და თავიდან ავიცილოთ სტიქიური მოძალება!

ᲜᲘᲜᲝᲫᲘ ᲑᲐᲠᲗᲘᲐ

ნახ. Გ. ᲫᲘᲫᲘᲚᲘᲫᲘᲚᲐ



ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲘ ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ

ბევრჯერ მკაცრად დატუქსეს,
მაინც, რადაც განგებით,
კვლავ გაისმა სოხუმში
„ძველებური“ ჰანგები:

„ბრიტვო, ბრიტვო!“ „ეუვაჩკა!“
მზის ალბურში ნავლები —
სამაია ცეკვავენ
ტანწერწეტა ქალები.

„სინკა-ლილოა!“ — ფალეტით
გრძნობას მიწევს მოკეთე,
დალოცველი, ვინ მართავს,
ნეტავ, ამბვარ კონცერტებს?!

ᲛᲗᲝᲜ „ᲬᲐᲠᲛᲘᲢᲐᲪᲘᲝᲜ“ მღერიან,
წვიმს, მზეა თუ ქარია...
ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘᲙ-ᲥᲚᲔᲥᲨᲘ „ᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ“
სპეკულანტთა არია!

ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲛᲘᲫᲐᲕᲨᲢᲐᲫᲔ
(Ქ. ᲡᲝᲮᲣᲛᲘ)

ᲪᲝᲪᲮᲚᲘ. — ᲐᲐᲐ..
ᲥᲐᲚᲐᲥᲘ. — ᲐᲐᲐ..

ნახ. Გ. ᲛᲐᲜᲐᲯᲘᲐᲡ

ᲒᲐᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲛᲘ

ᲘᲜᲒᲝ ᲥᲚᲐᲫᲘ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ ესტუმრება, მანქანით იქნება ეს თუ რკინიგზით, არ შეიძლება თვალში არ ეცეს განმუზტული ფეგალური ბომბეებივით მხარეთმოზე წამოკოტრიალებული ბუნკერების კოპორტა. გაოცებული კაცი უფრო გაოცდება, თუ დფიტერესდება და იკითხავს, ვისია ან რის წარმოადგენს ეს უზარმაზარი, რაკეტის ფორმის ბუნკერები. სრულად ზეოდეგ ᲪᲚᲔᲒᲐ-ᲛᲝᲜᲘᲗᲘᲗ დადგინდა, რომ ბუნკერი 55 მ/Გ ტიგოდობს კომბინირებული საკვების ნედლეულის სოფლიო ყოფილა. ითთო ცალი ღირს 4401 მანეთი. სულ, გასულ წელს, **მაბარაძის პოროროდოტკების კომბინატმა** 40 ცალი ასეთი ბუნკერი მიიღო, ამითკან 24 ცალ კომბინატის ᲨᲔᲛᲘᲡᲐᲛᲔᲚᲝᲓ და რკინიგზის ლინდდგის გასწერილია, ოფალი ინკინის მოედლობის შემსრულელს — **მალბარᲨ ᲛᲔᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲐᲡ** — განსარტებით, ეს ᲛᲔᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜ „ᲑᲝᲛᲑᲔᲑᲘᲡ“ **საკარიᲒᲔᲚᲘᲡ ᲮᲚᲘᲠ ᲓᲐᲛᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲘᲜᲙᲚᲘᲡ** გამოეფერვნია კომბინირებული ნედლეულის მეკანიზებულ საწყობში დასაორტაკეტლად. ეს რომ გაგიგეთ, იფიქრებ ვიკითხეთ, რომ კინალამ მოგეკვდათ. რატომ ვიკითხეთ, იკითხ? ᲮᲔᲚᲘ არ დამაფიქრებლიაო და საბალს აოცებ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲡ. თურმე, კომბინირებული ნედლეულის მეკანიზებული საწყობი, ᲥᲝᲠᲯᲘᲤᲠᲝᲜᲗᲘᲡ, აᲛᲕᲔᲜᲔᲑᲐ მოეულნილი არა კი ყოფილა! მართალია, გაყეფთბულია ᲮᲐᲠᲗᲐᲠᲘᲪᲮᲕᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ, მაგრამ... მახარაძის პოროროდოტკების კომბინატის ხელმძღვანელობამ ᲯᲝᲠᲐᲒ არ იცის, როდის მოვა საწყობისთვის გაჩეფილი დანარჩენი მოწყობილობა და, საერთოდ, როდის დაიწყება მშენებლობა, რიცა სიტყვიერი პოლარაციების საფეძველზე, თურმე, წელს ეინდა დამთავრებულიო იგი. დასანანია, რომ ასეთი საწყობის მწყობრში ჩაყენება ეთო�დ თავის სიტყვას იტყოდა რესპუბლიკაში მეტეოროლოგიის დარგის ანალიტიკა საწყობში.

ᲐᲮᲚᲐ ᲠᲐ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲗ? ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲗ ის, რომ 40 ცალ, საღიაც ბალამ-ᲑᲔᲚᲘᲐᲜ მიერილ-მოყრილი ᲑᲣᲜᲙᲔᲠᲘ მახარაძეები ქარის მოტანილად თვლიან და სამართლიანად ᲮᲘᲜᲗᲘᲜᲔᲑᲘᲡ: ᲥᲐᲠᲘᲡ მოტანილ. ისევე ქარი თუ წაიღეს, თორემ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲜᲐ ადგილიდან დამძრეკელ არა ვართო.

არ ᲒᲣᲜᲐᲕᲡ, ᲒᲘᲜᲐᲕᲡ, მახარაძეები ᲒᲣᲜᲚᲔᲑᲐᲜᲘᲗᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲜᲐᲚ და ᲛᲐᲠᲗᲚᲘ ᲥᲐᲠᲘᲡ ᲣᲤᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲗᲐᲜ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲗᲘᲗ ᲘᲡᲔᲜᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐᲜ. ᲘᲤᲘᲠᲘ ᲐᲠ ᲣᲛᲘᲜᲯᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲒᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲗ და ᲓᲐᲠᲩᲘᲡ ᲛᲐᲚᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ. ᲘᲡᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐᲐ, რომ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ, ᲡᲐᲗ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲐ ᲘᲡᲔ „ᲑᲝᲛᲑᲔᲑᲘᲡ“, ᲮᲝᲚᲝ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐᲜ. ᲘᲡᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐᲐ, ᲠᲝᲛ

უცხოური კალეიდოსკოპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აალებული ჯვრები

ამერიკელმა რასისტებმა ისევ გააქტიურეს თავიანთი მოღვაწეობა. კუ-კლუქს-კლანმა და „თეთრი რასის სიწმინდის“ დამცველმა საზოგადოებებმა ახალი კომპანია გააჩაღეს ზანგებისა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ფერადკანიან მკვიდრთა წინააღმდეგ. ეს კომპანია ტარდება ცინიზმით გაჟღენთილი ლოზუნგით — „ამერიკის 200 წლისთავთან დაკავშირებით, თავიანთი ადგილი მიუჩინოთ ზანგებს!“

ახლახან ტენესის შტატის რასისტებმა კიდევ ერთი ჯვარი აბრიალეს უკუნეთ ღამეში, რაც ძალადობისა და სისხლისღვრის დაწყების ჩვეულებრივი სიგნალია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კუ-კლუქს-კლანმა დაიწყო ამერიკის ორასი წლისთავისადმი მიძღვნილი „ზეიმი“!

სამარცხვინო განაჩენი

გფრ-ის დემოკრატიული საზოგადოებრიობა აღშფოთებით შეხვდა ჰამბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას — მართლმსაჯულებამ გაამართლა ექვსი ესესელი, რომელნიც მეორე მსოფლიო ომში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ოკუპირებული პოლონეთის უდანაშაულო მოსახლეობის სისხლში ჩახრჩობაში, „სიკვდილის ბანაკებში“ — სობიბორში, ბელჟეცში, ტრებლინკაში... ამ კონცენტრაციულ ბანაკებში დაიღუპა ერთ მილიონამდე ადამიანი!

რკინის ჯვრის ექვსი „რაინდის“ პროცესი გრძელდებოდა სამ წელზე მეტ ხანს, დაკითხეს 1500 მოწმე, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები, რომელთაც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დაადასტურეს ბრალდებულთა საშინელი დანაშაულებანი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასამართლომ ეს ჩვენებები ჩათვალა „არადამაკმაყოფილებლად“, რათა გამოეტანა გამამტყუნებელი განაჩენი. მის საბოლოო დასკვნაში წერია, რომ საქმის ხანდაზმულობის გამო, სამხედრო ბოროტმოქმედთა დანაშაული „არ შეიძლება დამტკიცებულ იქნას“.

თემიდას თვალები ამოთხარეს!

ბევრს თუ კითხულობენ ფრანგები?

საფრანგეთის კულტურის სახელმწიფო სამდივნომ გამოიკვლია თუ რამდენ და რა ხასიათის წიგნებს კითხულობენ ქვეყნის მცხოვრებნი. გამოირკვა, რომ, მაგალითად, გასულ წელს, ფრანგების ერთ მესამედს საერთოდ არ მოუკიდია წიგნისთვის ხელი (თავისებური რეკორდია!), ხოლო 27 პროცენტს საერთოდ არა აქვს სახლში წიგნი!

ამ ერთობ საფუძვლიანი გამოკვლევის სტატისტიკამ ისიც გამოამჟღავნა, რომ ყოველი მესამე ფრანგი პრაქტიკულად არასოდეს კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას, 24 პროცენტი მხოლოდ „გადაათვალიერებს“ ხოლმე, ასე, ერთ-ცხრა წიგნს (წელიწადში!), კიდევ 24 პროცენტი ასევე „გადაავლებს თვალს“ ათიდან ოცდახუთ წიგნამდე. ყველაზე დიდი მოთხოვნილება თანამედროვე თემატიკაზე დაწერილ რომანებზეა, მას „ხტუნვა-ხტუნვით“ კითხულობს მოსახლეობის 35 პროცენტი. ყველაზე ნაკლები მოთხოვნილება კი... პოეზიაზეა!

ლექსებს მთელი საფრანგეთის მოსახლეობის მხოლოდ სამი პროცენტი კითხულობს არტურ რემბოს, პოლ ვერლენისა და შარლ ბოდლერის ქვეყანაში!..

მარჯვე სატრანსპორტო საშუალება

შრი ლანკას რესპუბლიკაში ჰიპებს დიდი ხანია სახელი გატეხილი აქვთ. ჯერ კიდევ 1972 წელს, ამ ოკეანის გადაღმელ მოდის ქურუმებს, აეკრძალათ სახელმწიფოში შესვლა.

მიუხედავად ამისა, დღესაც კი ათეულობით და ასეულობით ჩამოძონძილი, დაუბანელი და გასაკრეჭი სტუმრები, რაღაც მაქინაციების წყალობით, ახერხებენ რესპუბლიკაში შეღწევას.

რამდენიმე ხნის წინ, ერთ-ერთ ცნობილ საზღვაო კურორტ ხიკადუვეში, დააპატიმრეს ამერიკელი, ინგლისელი და ავსტრალიელი ჰიპების რამდენიმე ჯგუფი. ყველა „სიკეთესთან“ ერთად ისიც გამოირკვა, რომ საზღვრისა და კანონის დამრღვევები, კონტრაბანდისტებიც აღმოჩნდნენ. მათ ქვეყანაში შეიტანეს ჰაშიშისა და სხვა ნარკოტიკულ საშუალებათა დიდი რაოდენობა.

ნარკოტიკებით კონტრაბანდისტთა გამრავლებამ ადგილობრივი ხელისუფლება აიძულა უფრო სერიოზულად მოეკიდა ხელი ამ თმა და ჭკუააბურძგნილი ხალხისათვის. პოლიციამ საქმეში ინტერპოლის დეტექტივებიც ჩართო. ასეთ შედეგს კი მაინც არავინ ელოდა: აღმოჩნდა მთელი საერთაშორისო იატაკქვეშა სინდიკატი, რომელიც უზარმაზარი მასშტაბებით ვაჭრობდა ჰაშიშით, მარიხუანით, ოპიუმითა და სხვა სახის ნარკოტიკებით. მაწანწალა ჰიპები ყველაზე მოსახერხებელი „სატრანსპორტო საშუალება“ გამოდგა ნარკოტიკების გადასაზიდ-გადმოსაზიდად. რაღა თქმა უნდა, ისინი გარკვეულ გასამრჯელოს იღებდნენ. აბა, ვინ გაანაწყენებდა ასეთი „სასარგებლო“ საქმისათვის თავდადებულ მუშაკებს?!

„ესეც თქვენი ახირებული, უბოროტო და უწყინარი ჰიპები!“ — ამბობენ შრი ლანკაში.

პილოტაჟი ხიდქვეშ

სიდნეის სასამართლომ 450 დოლარით დააჯარიმა ავსტრალიელი მფრინავი ჯონ კამერონი, რომელმაც დაარღვია ქალაქზე ფრენის წესი და თვითმფრინავით ორი ხიდის ქვეშ გაიფრინა. ერთ-ერთი — სიდნეის ცნობილი სამოცმეტრიანი ხიდია, რომელიც ყურეს ორივე მხარეს აერთებს. მიუხედავად სასამართლოს მკაცრი დადგენილებისა, კამერონმა უარი განაცხადა ჯარიმის გადახდაზე. მან თქვა რომ ამ გაფრენით პატივი სცა წარსულში ცნობილ ავსტრალიელ ავიატორს — სიდ მარშალს, რომელიც 1934 წელს პირველად გადაფრინდა ავსტრალიიდან ახალ გვინეაში და უმაღლესი პილოტაჟის ოსტატად აღიარეს.

კამერონმა კი დაბალი ხიდების ქვეშ ფრენის უმაღლესი პილოტაჟით, პატივისცემა გამოხატა თავისი სახელოვანი წინაპრისადმი. არგუმენტს გონივრული საფუძველი არ აკლია, ოღონდ ვინმეს პატივსაცემად ასეთი ტრადიციების დამკვიდრება არ ღირსო! — ამბობენ სიდნეელი მოქალაქენი.

იმედგადაწურულნი

დასავლეთ გერმანიის ქ. ვუპერტალში თავისებური დაკითხვა მოუწყვეს ახალსკოლადამთავრებულებს. მერე და რა გამოირკვა? — 135 ახალგაზრდიდან მხოლოდ 40-ს გაუღიმა ბედმა, რადგან მხოლოდ მათ მიეცათ სამუშაო, როგორც შეგირდებს, რომელნიც სპეციალობას უნდა დაეუფლონ, დანარჩენებს კი საბოლოოდ გადაუწურეს იმედი, რომ იმ ცოდნას, რაც სკოლაში მიიღეს და, ამასთან, ახალგაზრდულ ძალასა და ენერგიას რაიმე გზას მისცემენ.

ოფიციალური მონაცემებით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამჟამად 120.000 ახალგაზრდას (20 წლის ასაკამდე) არც სამუშაო გააჩნია და არც სწავლის გაგრძელების საშუალება.

გფრ-ში ახალგაზრდობას მთელი მომავალი“ წინა აქვს!

სანთლით საძებნი ავტორი

ლონდონის რამდენიმე გამომცემლობას დაევალა დასტამბონ წიგნი, რომელიც საჭირო პასუხს გასცემს მარქსისტულ პროპაგანდას. წიგნი უნდა გაითვალისწინონ სტუდენტთა აუდიტორიებისათვის. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ასეთი ნაშრომის ავტორი... ვერ გამოუნახავთ და, რაღა თქმა უნდა, ვერც ასახელებენ კონკრეტულად მის გვარსა და სახელს. კონკრეტულად მხოლოდ ისაა ცნობილი, — წერს გაზეთი „მორნინგ სტარი“, — რომ რამდენიმე წამყვანმა სამრეწველო ფირმამ წამოაყენა მეტად ძვირფასი იდეა: ისინი მზად არიან გადაუხადონ 20 ათასი ფუნტი სტერლინგი (ჰონორარიც ამას ჰქვია!) „სოციალურად სანდო“ ავტორებს, რომელნიც თავის თავზე აიღებენ და დახმარების ხელს გაუწვდიან „დაბნეულ, აფორიაქებულ სტუდენტობას, დააყენებენ მათ ჭეშმარიტ გზაზე, რადგან ყველგან და ყოველ ნაბიჯზე ამ ახალგაზრდობაზე ზეგავლენას ახდენს მარქსიზმი“.

„ძვირფასი“ ავტორები კი არ ჩანან.

უმუშევარი პედაგოგები

„ჯორდანჰილის უმუშევართა მოსამზადებელი კოლეჯი“ — ასეთი აბრა გაჩნდა გლაზგოს პედაგოგიური კოლეჯის შენობაზე. შოტლანდიაში დღითი დღე იზრდება უმუშევარ მასწავლებელთა რიცხვი. უკმაყოფილო სტუდენტებს დაკავებული აქვთ 12 კოლეჯი, საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეობას იღებს 13.500 სტუდენტი. კოლეჯის დამთავრების შემდეგ მათი ცხოვრება იწყება არა პირველი გაკვეთილით სკოლებში, არამედ რეგისტრაციით მუშათა დამქირავებელ ბიუროში, სადაც რამდენიმე წლით ადრე სწავლადამთავრებული მათივე უმუშევარი კოლეგების განცხადებებითაა გამოტენილი კარტოტეკები.

ვერაფერს იტყვით! ბრწყინვალე პერსპექტივაა!

მახინჯების დიდ ფორუმზე

1975 წელს საბჭოთა კავშირში წარმოებულია 700 მილიონი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, თითქმის სამი წყვილი ერთ კაცზე, მაგრამ საქმე იმაშია, რომ გვაკლია მაღალხარისხოვანი, მოდური ფეხსაცმელი. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა ქსოვილების, შეკერილი და საგალანტერიო ნაწარმის, ავეჯისა და სხვა პროდუქციის მხრივაც.

ხაქ. კპ. XXV ყრილობის მასალებიდან.

ხახმარ საგნებს, მანკიანებს, თავყრილობა ჰქონდათ დიდი,
მეც იქ გახლდით და ცრემლნარევ სიტყვებს ლექსის ნამგლით ვმკიდი.
ტუფლი: ლამის გადვირეო, დახლზე ვყვინთავ, რა ხანია,
მუდამ ასეთ სიტყვებს ვისმენ: „ფუი, რას გავს, ნახმარია?!"
„ცალ ფეხსაცმელს ქუსლი არ აქვს!" „იფ, იფ, მაგას რა სჯობია!"
„ქუსლი აგერ, სკამქვეშ, გდია, გახინჯვის დროს აძრობია!"
„ხა, ხა, ხა. ხა, ამჩნევთ? ცალი პატარაა, ცალი — დიდი,
კარგ ქალამნებს შეეიკერავ და ამ ჯღანებს არ ვიყიდი!"
„ნეტავ, ტუფლი არ ვიყო და გამომცხვარი ვიყო პური,
რომ მეტოქე, დამჩაგვრელი, არა მყავდეს უცხოური!"
ხიბრაზიხგან ᲗᲝᲠᲜᲘᲡ ᲞᲣᲠᲛᲐ შუბლზე ხილა შემოირტყა:
„მოთმინება აღარ მყოფნის და, გთხოვთ, მომცეთ ახლა სიტყვა!
თავზე ისე გადმოვეკლე მე უამრავ საუკუნეს,
წყალგამოლმა რომ აცხობდნენ, გალმით გრძნობდნენ ამო სურნელს.
მაშინ ყველა ჩემს სვიან გზას იყო გამოკიდებული,
რადგან უყველ-უხორცოდაც იჯრა ვიყავ დიდებული,
თავს ხილბოთიც ვიწონებდი, დღეს კი ისე უცბად ვხმები,
სიდიდე რომ მომმატონ, ურმის თვლებად გამოვდგები!"
„შენ რა გიჭირს, მე ვარ ცოდო, — აქვითინდა მწარედ **ᲨᲐᲚᲘ,** —
კაციშვილი არ მიყიდის, თუნდ დამადონ ფასი ჩალის.
ბალახ-ბულახბირკიანი მატყლის ნართით მოქსოვილი,
უპატრონო პატრონისგან ჯანდაბას ვარ მოსროლილი.
რა ვქნა, წინსვლის ნათელი გზა იმიტომაც უფრო დავთმე,
ყირაფიენით არ ავჭრელდე, წვიმაში რომ მოვხვდე სადმე,
დღეს, ქართულ შალს, ღებვის ზადი მაინც რატომ უნდა მქონდეს,
როს შეფერვით ვანცვიფრებდი ქსენოფონტს თუ ჰეროდოტეს?!
როს მყიდველებს არა მარტო ადგილზე ვერ ავდიოდი,
საზღვაო თუ სხვა ტრანსპორტით საზღვარგარეთ გავდიოდი.
ახლა, როცა ესთეტიკა უმრავლესთა დარდი არი,
სირცხვილია კვლავ მრავლობდეს შალი ჩემებრ ზადიანი!
ნეტავ, შალი არ ვიყო და ღვინო ვიყო, თუნდ „საერო",
ბნელ საწყობში არ ვწვალობდე უმზეოდ და უჰაეროდ!"
„**ᲡᲐᲔᲠᲝ**": ვით შენ და პური, არც მე ვიყავ დასაცინი,
რა სიამით მსვამდნენ, მოწმე არის მწვადი და საცივი.
ახლა ისე ბედუკუღმა დატრიალდა ჩემი ჩარხი,
სადაც უნდა შეიარო, ერთნაირად მლანძღავს ხალხი:
რესტორანში: „საერო" გვაქვს, მიირთმევთ თუ სხვაგან წახვალთ?"
„წავალთ, რა ვქნათ, ცუდად ვხდებით, მაგ ღვინოს რომ დავინახავთ!"
გასტრონომში: „საერო" გვაქვს, სულ ახალი მიღებული!"
„სხვა არა გაქვთ? წამო, წამო, საწამლავში მივცეთ ფული?!"
მზისქვეშეთში ჯერ სახელი ჩემებრ არვის შელახვია,
სირცხვილისგან მთლიდა ვხდები, „საეროს" რომ მეძახიან!
ისე სუსტი გულისა ვარ, მომკლავს დარდი მეტისმეტი,
თუ არ გაგვაუკეთესეს მეც და ჩემი ეტიკეტიც!"

დიდ ფორუმზე გაჩენის დღეს ვინლა აღარ იწყევლიდა:
ᲯᲔᲛᲞᲠᲘ, ᲫᲕᲐᲑᲘ, ᲡᲙᲐᲛᲘ, ᲞᲘᲯᲐ, ᲣᲗᲝ, ᲨᲐᲚᲘ, ᲙᲐᲑᲐ, ᲧᲘᲜᲓᲐ...
ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ: „გთხოვთ მიბოძოთ ნება, ერთი რამე გკითხოთ:
ცრემლით იშობთ თავს ხელახლა? ის თქვით, რა გსურთ, რას მოითხოვთ?!"
ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲠᲗᲐᲓ: „გვინდა, მკაცრად მოჰკითხონ იმ არამზადებს,
აბუჩად რომ აგვიგდეს და მახინჯები დაგვამზადეს!"

ᲫᲘᲣᲨᲕᲐᲠᲓ ᲘᲡᲐᲙᲐᲫᲔ



— კრებებზე მსაყვედურობდით, თვითკრიტიკით რატომ არ გამოდიხარო! თვითკრიტიკიო გამოვედი და სასტიკი საყვედური გამომიცხადეთ!

ᲜᲘᲐᲜᲒᲘᲡ ᲚᲝᲙᲐᲢᲝᲠᲘ

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ რაიონის სოფელ **თამარიანის** ახალგაზრდობა კულტურულ დასვენებას მოკლებულნი ვართ. კლუბი გვაქვს, მაგრამ შიგ შესვლისა გვეშინია! ასე ამბობენ, „ავარიულიაო" და, კინოსეანსის ან სპექტაკლის მიმდინარეობის დროს, შეიძლება, დაინგრესო! ჩვენ ბალეტი მოვამზადეთ, მაგრამ კლუბში მაინც არ შეგვიშვეს: ჯერ გავამაგრებთ, გავარემონტებთ და მერე, თუ გინდათ, მქუხარე ტაშიც დაუკარითო!..

* * *

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ 26 კომისრის რაიონის **გარეკახეთის ქ. № 6 სახლის** მცხოვრებნი, სასმელ წყალთან ერთად, თევზის ქონსაც ვსვამთ. არ გეგონოთ, თევზის ქონს აფთიაქში ვყიდულობდეთ: ჩვენს ონკანებში იგი უხვად მოდის!... ხანდახან ქონს თვითონ თევზებიც კი მოჰყვებიან, მაგრამ ძალზე პატარები, როგორც ჩანს, დიდები მილში ვერ ეტევიან, თორემ რაღა გვიჭირდა!..

* * *

ᲓᲐᲑᲐ ᲬᲧᲜᲔᲗᲨᲘ ვცხოვრობთ, **არსენა ოძელაშვილის ᲥᲣᲩᲘᲡ № 21-ის** გაგრძელებაზე. აქ არც სინათლე გვაქვს, არც გზა და არც ტელეფონი. № 21-მდე კი ყველა სიკეთე არის, რაც მშრომელი ადამიანის ხელს გაუკეთებია. კი არ გვშურს, მაგრამ ჩვენც გვინდა გვქონდეს სინათლე და გზა. ტელეფონს კი ისე ვამბობთ, ძალზე მოკრძალებით!..

* * *

ᲒᲝᲠᲨᲘ, გორკის ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ვცხოვრობთ. ჭავჭავაძის ქუჩიდან მახარაძის ქუჩის გადაკვეთამდე სულ 300 მეტრი იქნება, მაგრამ გაუვალი ჭაობია. უკვე 15 წელია ამ მონაკვეთის გაკეთებას გვპირდებიან. ჯერჯერობით დაპირება დაპირებად რჩება. ვერ ვსარგებლობთ ვერც ერთი თანამედროვე ტრანსპორტით. აქ ანტისანიტარიაა გამეფებული.

* * *

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ რაიონის **სოფ. სალიეთისა და სოფ. მორძგვეთის** 450 ოჯახს სამანქანო გზა არ გაგვაჩნია. რკინიგზის გადაღმა ვართ მომწყვდეულები. ვერც ერთი დანიშნულების ავტომანქანა ჩვენს სახლს ვერ მოადგება: ვერც სასწრაფო, სახანძრო, სატვირთო და მსუბუქი. რა იქნება, რკინიგზაზე ერთი გადასასვლელი რომ გაკეთდეს და ჩვენც დავუკავშირდეთ ამ მადლიან ქვეყანას ავტომანქანით?

მოისმინა ᲨᲐᲜᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔᲛ

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔ�გᲘᲡ: Ზ. ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ (მთ. რედ. მოადგილე), Ზ. ᲙᲐᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ჯ. ᲚᲝᲠᲗᲣᲐ, Გ. ᲚᲝᲛᲯᲐᲫᲔ, Ნ. ᲛᲐᲚᲐᲮᲘᲐ (მხატვ. რედ.), Გ. ᲜᲘᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ, Გ. ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ (პ/მდ. მდივანი), Გ. ᲨᲘᲠᲪᲮᲚᲐᲕᲐ, Მ. ᲯᲘᲚᲝᲕᲐ. ⊙ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲝᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ: Გ. ᲚᲝᲛᲯᲐᲫᲔ, Გ. ᲛᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ, Მ. ᲯᲘᲚᲝᲕᲐ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ, Გ. ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲫᲔ, Მ. ᲛᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲕᲐ

ეროვნული
ბიბლიოთეკა